ახალი ხარაგაული

370 (1) 17 იანვარი, 2018 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, 24 -საათიან რეჟიმში მომუშავე კირეხს ახალი წელი მიულოცა

ტრადიციისამებრ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, 2018 წლის დადგომა იმ ორგანიზაციების თანამშრომლებს მიულოცა, რომლებიც ახალი წლის შემობრძანებისას თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ. ნიკოლოზ თოფურიძემ მათ სადღესასწაულო განწყობის შექმნის მიზნით ტკბილეული გადასცა და ბედნიერი და წარმატებული წელი უსურვა.

,,თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც ახალი წლის ღამეს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებთ და იბრძვით მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის. ნამდვილად ფასდაუდებელია თქვენი შრომა. მინდა, განსაკუთრებულად მოგილოცოთ ახალი, 2018 წელი. მშვიდობას, სიკეთესა და სიყვარულის გაძლიერებას გისურვებთ. უფლის მადლით კიდევ დიდხანს ყოფილიყავით ხალხისა და ქვეყნის სამსახურში." -განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ თოფურიძემ.

მერის წარმომადგენლის პოზიციაზე სამუშაოდ უმაღლესი განათლება სავალდებულო ხდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა და მათთან ერთად ინფრასტრუქტურული პროექტები მიმოიხილა. შეხვედრაზე ისაუბრეს სამუშაოების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და მათი გამოსწორების გზებზე. თოფურიძის განცხადებით, მშენებელი კომპანიები, რომლებმაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოები ვერ შეასრულეს, დაჯარიმდებიან და მომავალში მათთან თანამშრომლობა მკაცრად გაკონტროლდება.

,,არ ვაპირებ ლოიალური ვიყო იმ პირების მიმართ, ვინც არაკეთილსინდისიერად მოეკიდება მათზე დაკისრებულ უფლებამოვალეობას. ყველა კანონის შესაბამისად დაისჯება.კომპანიები გაფრთხილებული იყვნენ, სამუშაოები ვადებში და ხარისხიანად უნდა დაესრულებინათ, თუმცა რამდენიმემ ეს ვერ მოახერხა." - განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

ნიკოლოზ თოფურიძემ საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და მათი ასისტენტები შტატში დაინიშნენ. მისივე ინფორმაციით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისად, შტატში მუშაობას გააგრძელებენ ის პირები, რომლებიც 2017 წლის პირველ ივლისამდე კონკურსის წესით იყვნენ დანიშნული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენიმე წარმომადგენლის თანამდებობა ვაკანტური გახდა და კადრები კონკურსის წესით შეირჩევიან. ვაკანსიაზე აუცილებელი პირობა უმაღლესი განათლებაა. რაც შეეხება დამხმარე მოსამსახურეებს, მათ უმაღლესი განათლება არ მოეთხოვებათ.

დასასრულს, მერმა თითოეულ წარმომადგენელს დაავალა, უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდონ საქმეს და თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ პრობლემებზე რეაგირება დროულად მოახდინონ.

საშობაო „ალილო" ხარაგაულის ქუჩებში

7 იანვარს ხარაგაულში, ტრადიციისამებრ, საშობაო „ალილო" გაიმართა. „ალილოს" მსვლელობა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლიდან დაიწყო. მსვლელობას ტაძრის წინამძღვარი მამა ანტონი (სულთანიშვილი) უძღვებოდა. ქრისტეშობის მახარობლებმა ხარაგაულის მთავარი ქუჩა საზეიმო მსვლელობით გაიარეს. მამა ანტონმა მრევლი დალოცა და ხარაგაულის მოსახლეობას შობა-ახალი წელი მიულოცა.

„ალილოში" მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ხარაგაულის ეკლესიის მრევლმა, სტიქაროსნებმა და ბავშვებმა. შემოწირული ტკბილეული და სხვადასხვა სახის სურსათ-სანოვაგე სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაურიგდათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის 60 სასაჩუქრე პაკეტი შეიძინა.

შობის ბრწყინვალე დღესასწაულს წინ უძღოდა საზეიმო საშობაო ლიტურგია, რომელიც ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლში გაიმართა.

ბოლო წლებში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა - შობის დადგომას მორწმუნე მართლმადიდებლები სარკმელზე ანთებული სანთლით ეგებებიან. ღამის ხარაგაულს ამშვენებდა თითოეული ოჯახის სარკმელზე ანთებული მოციმციმე სანთელი, რაც სიმბოლურად უფლისთვის კარის გაღებას ნიშნავს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ღვერკის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულებინა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვერკში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. გზის 1400 მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 16 414 ლარით ფინანსდება და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საპოვნელა+" ასრულებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, გზის კაპიტალური შეკეთება უახლოეს დღეებში დასრულდება. მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ადგილზე გაეცნო. მერის განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება პრიორიტეტია და ამ მხრივ სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ღვერკი კომპაქტურად დასახლებულია და ზაფხულში დამსვენებელთა სიმრავლით გამოირჩევა. სოფელში გზა სრულიად ამორტიზებული იყო და მასზე გადაადგილება მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა. რეაბილიტაციის ფარგლებში ორფენიანი ბეტონი დაიგება და ადგილობრივები კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მასშტაბური პროექტები განხორციელდა. საერთო ჯამში გზების სარეაბილიტაციოდ დაახლოებით ექვსი მილიონი ლარი დაიხარჯა.

ამ ეტაპზე დასრულებულია წაქვის, მაქათუბნის, ვაშლევის, ღარიხევის, ხიდრის, ვარძიის, ნებოძირის, ლაშის იგორეთის, გოლათუბნის, ვერტყვილასა და ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა კი თანხის - 5%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017 წელს ხარაგაულს ინფრასტრუქტურის სამინისტროდან სტიქიის ფონდიდან 700 000 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებშიც ამჟამად გაზაფხულზე მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული სახლებისა და გზების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

მანანა ბარბაქაძემ საბავშვო ბაღს აღსაზრდელებს საახალწლო ტკბილეული გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, დეპუტატ ქეთევან ზუმბაძესთან ერთად, ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღს სტუმრობდა. საკრებულოს წევრებმა პატარებს შობა-ახალი წელი მიულოცეს და მათ საჩუქრად ტკბილეული გადასცეს. როგორც ქალბატონმა მანანამ განმარტა, საჩუქრები აღსაზრდელებისათვის მუნიციპალიტეტს სრულიად უსასყიდლოდ კომპანია – „ტკბილი ქვეყნის" დირექტორმა, ლია ზარიძემ, გადასცა. აღსანიშნავია, რომ სოციალური აქცია ხარაგაულში საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით განხორციელდა.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის, მამუკა ჭიპაშვილის, თქმით, ტკბილეული მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში გადანაწილდება.

ამავე დღეს მანანა ბარბაქაძემ სათნოების სახლის ბენეფიციარებიც მოინახულა და საახალწლო ნობათით ისინიც დაასაჩუქრა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელად ჟანა ნემსაძე დაინიშნა

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, ბიუროს ჟანა ნემსაძე უხელმძღვანელებს. აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ბიუროს ხელმძღვანელი, ოთარ ლურსმანაშვილი, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ აირჩა. ჟანა ნემსაძეს ბიუროში საქმიანობის ერთწლიანი გამოცდილება აქვს. იგი ასევე მუშაობდა საჯარო სექტორში და წარმატებით აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დეპუტატის ბიურო აქტიურად მუშაობს. თანამშრომლები მოტივირებული არიან, რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმარონ პრობლემების მოგვარებაში. ამ ყველაფრის შედეგია ის, რომ ასობით მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და 200-მდე ოფიციალური მიმართვის წერილი გაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში.

,,ძირითადად სოციალურ პრობლემებზე გვაკითხავენ. დიდია დასაქმების მსურველთა რაოდენობაც. რამდენიმემ სამართლებრივი დახმარებისთვისაც მოგვმართა. პატიმრის ოჯახის წევრები შეწყალების დოკუმენტაციის გაგზავნას ითხოვდნენ შესაბამის უწყებაში. დეპუტატის შუამდგომლობით, რამდენიმე მათგანი გათავისუფლდა და ახალ წელს საკუთარ ოჯახში შეხვდა. ძირითადად ჩვენი მოვალეობა მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაწევაა,"- განმარტავს ბიუროს ხელმძღვანელი.

ჟანა ნემსაძე სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრება და აღნიშნავს, რომ დეპუტატის ბიუროს ინიციატივით, ხარაგაულში ახალგაზრდული კლუბი ჩამოყალიბდება, რომელშიც გაწევრიანება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეეძლებათ. ახალგაზრდები საქართველოს პარლამენტში სხდომებს დაესწრებიან და მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობას გაეცნობიან. დაიგეგმება ასევე სპორტული ღონისძიებები. გაზაფხულიდან კი დეპუტატი აქტიურად დაიწყებს მოქალაქეებთან შეხვედრებს და მათი პრობლემების ადგილზე გაცნობას.

შეგახსენებთ, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მისამართია: სოლომონ მეფის N 61. ტელ: 0433 22-00-41; 595 90 27 20 ჟანა ნემსაძე. ბიურო ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10-საათიდან 18 საათამდე მუშაობს და მოქალაქეების მიღება ყოველდღიურად ხდება.

ეკა შავიძე

წლის შემაჯამებელი ღონისძიება ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ხარაგაულის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) ორიგინალური და საინტერესო შეხვედრა ინოვაციების ცენტრის დარბაზში მოაწყო. წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე ნიკოლოზ მაჭავარიანმა განვლილი 12 თვის განმავლობაში განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია წარმოადგინა და საზოგადოებას სამომავლო გეგმებზე ესაუბრა, რომელთა განხორციელებაც კიდევ ბევრ საინტერესო საღამოს აჩუქებს ხარაგაულელებს, ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ინტელექტუალურ და შემეცნებით აქტივობებში. წინასაახალწლო განწყობა კიდევ უფრო მეტად აამაღლა შეხვედრის იმ ნაწილმა, როდესაც სახალისო და ინტელექტუალური შეჯიბრი გაიმართა, მასში აქტიურად ჩაერთო სტუმრებისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებული რამდენიმე გუნდი. სტუმრებს შორის იყვნენ ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მოადგილე რუსუდან გიორგაძე, კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. დასასრულს ბიბლიოთეკის დირექტორმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

მიმდინარე წელს ხარაგაულში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება

მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 26 ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება იგეგმება. მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნული პროექტები დასამტკიცებლად საკრებულოს უკვე წარუდგინა. როგორც ჩამონათვალში ვკითხულობთ, ბეტონის საფარი მუნიციპალიტეტის 24 სოფელში დაიგება. ასევე საბავშვო ბაღი აშენდება საღანძილესა და ვერტყვიჭალაში. პროექტების განხორციელება გაზაფხულიდან დაიწყება და სავარაუდო ღირებულება 6 200 602 ლარია.

განსახორციელებელ 26 ინფრასტრუქტურული პროექტიდან ხუთი მათგანი 2017 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება. ეს პროექტებია:

დაბა ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია, არხის გაწმენდა - 209 140 ლარი;

ლახუნდარის (ქვედა ლახუნდარა, ეკლესიის უბანი) ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 238 533 ლარი;

ხონის გზის რეაბილიტაცია - 192 636 ლარი;

ღარიხევის გზის რეაბილიტაცია - 120 000 ლარი;

ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 139 081 ლარი;

გარდა ამისა, 2018 წელს შემდეგი პროექტების განხორციელება იგეგმება:

წყალაფორეთის გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი;

თეთრაწყაროს გზის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი;

ქროლის გზის რეაბილიტაცია - 258 099 ლარი;

ვაშლევის (გაღმა ვაშლევი) გზის რეაბილიტაცია - 131 450 ლარი;

საქარიქედში, რკინის ხიდის უბანში, გზის რეაბილიტაცია - 177 253 ლარი;

უბისაში, ძინძიბოურის უბანში, გზის რეაბილიტაცია - 139 067 ლარი;

სერბაისის გზის რეაბილიტაცია - 192 006 ლარი;

ნუნისში გზის რეაბილიტაცია- ხიდიდან მონასტრამდე - 311 444 ლარი;

ბორის გზის რეაბილიტაცია - 421 975 ლარი;

ლაშის (ზედა ლაშე) გზის რეაბილიტაცია - 279 722 ლარი;

უჩამეთის გზის რეაბილიტაცია - 160 987 ლარი;

მარელისში კაპნარი-კელასოურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 332 852 ლარი;

ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია - 171 855 ლარი;

გრიგალათის გზის რეაბილიტაცია - 310 622 ლარი;

ხუნევში, კალოს უბნის, გზის რეაბილიტაცია - 149 441 ლარი;

ლაშის ა/ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია (მანჯავიძეების, ცისკაძეებისა და მაჭავარიანების უბნები) - 200 000 ლარი;

ბაზალეთის ა/ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი) - 100 000 ლარი;

ნადაბურის გზის რეაბილიტაცია - 727 502 ლარი;

დეისის გზის რეაბილიტაცია - 536 937 ლარი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტები საბოლოო არაა და შესაძლებელია ცვლილებები განხორციელდეს .

თამარ მაღრაძე

აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს საახალწლო საჩუქრები გადაეცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში მცხოვრებ მაია პაკელიანის ოჯახს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა და ბაზალეთის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა საახალწლო საჩუქრები გადასცეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოჯახს შობა-ახალი წელი მიულოცეს და მათ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვეს. ქალბატონი მაია მრავალშვილიანი დედაა და იგი აფხაზეთიდან დევნილია. პაკელიანის განმარტებით, მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი ოჯახს ძალიან ეხმარება და მაქსიმუმს აკეთებს მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ძირულა-ჩუმათელეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყება

ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობა იწყება. როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განგვიმარტეს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბლექ სი გრუპი" გამოვლინდა და სამუშაოები, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყება.

მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის განცხადებით, აღნიშნული გზის რეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის. „ეს გზა რეალურად გამოაცოცხლებს მუნიციპალიტეტის სოფლებს და გაუმჯობესდება სავაჭრო - ტურისტულ ობიექტებთან კავშირი. მართლაც სასიხარულო ამბავია და მინდა, მივულოცო ხარაგაულელებს ახალი წლის ასეთი პოზიტიური ინფორმაციით დაწყება"- აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

შეგახსენებთ, რომ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ძირითადად უკვე არსებული გზის ფარგლებში განხორციელდება და მოიცავს: ასფალტის საფარის დაგებას, ხიდების რეკონსტრუქციას, გზის გასწვრივ კიუვეტების აგებას, მდინარის ნაპირზე დამცავი ნაგებობების მშენებლობას იქ, სადაც ამის საჭიროება არსებობს. გზის 50 კმ-იანი მონაკვეთი ორზოლიანი იქნება, თითო ზოლის სიგანე არის 3მ, ხოლო სავალი ნაწილის სიგანე - 6მ. შეგახსენებთ, რომ სამშენებლო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

ეკა შავიძე

აქცია - ,,ჩემი შესაწირი ტაძრის მშენებლობას" - გრძელდება

დეკემბრის თვეში ტაძრის მშენებლობის შესაწირი შემოიტანეს:

1.მარგვეთისა და უბისის ეპარქიის განვითარების ფონდი-ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდია - 19 986 ლარი;

2. ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის" თანამშრომლები-47 ლარი;

3.ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" თანამშრომლები- 15 ლარი;

4. ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" თანამშრომლები - 90 ლარი;

5. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" თანამშრომლები - 16 ლარი;

6. პავლე ალავიძე -იგორეთი- 20 ლარი;

7. საიდუმლო შემოწირულობა-დაბა-60 ლარი;

9. ნინო გიორგიძე - თეთრაწყარო- 50 ლარი;

10. თიკო ჩხეიძე- დაბა- 10 ლარი;

11. ვახტანგ ლურსმანაშვილი- თეთრაწყარო- 50 ლარი.

ტაძრის მშენებლობაზე ბეტონის ჩასხმასა და სხვა დამხმარე სამუშაოებზე თითქმის ყოველდღიურად მუშაობდნენ ა(ა) იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის" თანამშრომლები. ასევე ფიზიკურად იმუშავეს გამგეობისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, ცალკეულმა ინდივიდებმა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანის სახელი და გვარის აღრიცხვა ჩვენთან ინახება.

ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ყველას, ვინც შესაწირი გაიღო და ვინც ფიზიკურად მუშაობდა, ვისაც უხარია ამ ტაძრის აშენება და მის დასრულებაზე ლოცულობს. დიდი და შრომატევადი სამუშაოები შესრულდა, ფაქტობრივად დამთავრდა გუმბათის მშენებლობა. მისი გაჭიანურება გამოიწვია მწირმა შემოსავლებმა, მაგრამ ღვთის ნებითა და სწორი მენეჯმენტით, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, სახეზეა. ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის მერს, მშენებლობის ფონდის წევრს, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ქრისტიანული ეკლესიის 20 საუკუნის შემდეგ ხარაგაულში პირველად შენდება ტაძარი. მასში მონაწილეობა ყველას ღირსებისა და სიამაყის განმსაზღვრელი იქნება მომავალი თაობისათვის. ტაძრის მშენებლობის პარალელურად დაიწერება წიგნი, რომელშიც ყველას სახელი და გვარი დაფიქსირდება. ამას იმიტომ ვიმეორებთ, რომ, ვინც ვერ მოასწრო მის მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეეტანა, კიდევ ეძლევა ამის შესაძლებლობა. ამ წიგნით მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს რეალური და ობიექტური ფაქტები, ვის რა წვლილი და დამსახურება მიუძღვის ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობაში.

სახელობითი ჩუქურთმების აქცია კვლავ გრძელდება. მშენებლობა, მართალია, სრულდება, მაგრამ წინ ბევრი სამუშაო არის, ორივე ტაძარი უნდა მოეწყოს, ეზო და გალავანი მოსაწესრიგებელია, რისთვისაც დამატებითი სახსრების მოძიება არის საჭირო. ჩვენ სპონსორი არ გვყავს, ფაქტობრივად შემოწირულობებით და ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდირებით გაკეთდა ის, რასაც ხედავთ. შემოწირულობებისა და სუბსიდირების აქციები ისევ უნდა გაგრძელდეს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი
ცეზარ გუგულაშვილი

ხარაგაულის საავადმყოფოს ახალი მენეჯერი ჰყავს



ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებას ახალი მენეჯერი ჰყავს. შალვა ბიჭიაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე ორი თვის ვადით დაინიშნა. იგი ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრია, რომელიც მუნიციპალიტეტში ბევრი საინტერესო იდეის განხორციელებას გეგმავს. სჯერა, რომ ძალიან მალე ხარაგაულის საავადმყოფო საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. შალვა ბიჭიაშვილმა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა. მაგისტრატურა კი კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლაში გაიარა. ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია.

ახალი მენეჯერი გვესაუბრება იმ მოთხოვნების შესახებ, რაც აუცილებლად უნდა დაინერგოს ყველა კლინიკაში.

,,ჯანდაცვის მინისტრის მოთხოვნაა, ყველა კლინიკა ჩაერთოს ელექტრონული სამედიცინო დოკუმენტაციისა და ელექტრონული რეცეპტების სისტემაში. მივიღე შემოთავაზება, ორი თვის ვადით ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებისათვის მეხელმძღვანელა და ადგილობრივ სპეციალისტებს ახალი სისტემის დანერგვაში დავხმარებოდი. ეს იყო ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოწვევა და სიხარულით მივიღე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს, ბატონ ნუგზარ ბოლქვაძეს, ნდობისთვის, ქალბატონ ქეთევან აბრამიშვილს და მედპერსონალს ასეთი საქმიანი თანამშრომლობისთვის.“ - განმარტავს შალვა ბიჭიაშვილი.

- რა პრობლემები დაგხვდათ კლინიკაში და როგორ გესახებათ მათი მოგვარების გზები?

- პრობლემა საკმაოდ ბევრია, თუმცა მოგვარებადია და ეტაპობრივად ყველაფერი დარეგულირდება. მთავარია, კლინიკა მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა აღჭურვილი. უმთავრესი პრობლემა კადრების დეფიციტია. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს იმ პროფილის სპეციალისტებთან , რომლებიც კლინიკაში არ გვყავს და ვცდილობთ, მოხდეს შევსება. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ გპირდებით, რომ კლინიკა მოკლე დროში მაქსიმალურად დაიტვირთება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძალიან მალე ბორითის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი ახალ რეანომობილს მიიღებს, რომელიც ხარაგაულის რაიონულ ჯანდაცვის ცენტრსაც მოემსახურება.

- როგორც ვიცით, ამ დროისათვის კლინიკაში პაციენტების მომართვიანობა საკმაოდ დაბალია, როგორ აპირებთ ამ საკითხის დადებითად გადაჭრას?

- იმისათვის, რომ გაიზარდოს მომართვიანობა, პირველ რიგში საჭიროა კვალიფიციური კადრების შემოყვანა და პაციენტების ინფორმირება. ამ მიზნით ვგეგმავთ აქტივობებს. მთავარია, გავზარდოთ მომსახურების ხარისხი და პაციენტებს მათთვის მისაღები სამედიცინო სერვისი მივაწოდოთ. უნდა დაინერგოს მკურნალობის თანამედროვე სტანდარტები. საჭიროა სხვადასხვა სკრინინგ-პროგრამის განხორციელება, რათა ორიენტირებული ვიყოთ პრევენციაზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსახლეობის ავადობას. ადრეულ სტადიაზე დაავადების აღმოჩენის დროს მკურნალობაც მეტად ეფექტურია და შედეგიც საიმედო. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ნამდვილად უპრეცედენტო პროგრამაა და უნდა ვეცადოთ, მაქსიმალურად მივიდეს თითოეულ პაციენტამდე. ვგეგმავთ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სამედიცინო აქციებს, რომლის ფარგლებში მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ადგილზე ჩაუტარდება. მსგავსი აქტივობა პირველად 18 იანვარს ბაზალეთში განხორციელდება. ლაბორატორიული კვლევები, ოჯახის ექიმისა და სხვა ექიმსპეციალისტების კონსულტაციები მოსახლეობას ადგილზე გაეწევა. აქციები იგეგმება საჯარო სკოლებშიც, მოსწავლეებს ჩაუტარდებათ ოფთალმოლოგისა და ოტოლარინგოლოგის კონსულტაციები.

- აღნიშნულ თანამდებობაზე ორი თვის ვადით დაინიშნეთ. თქვენ შემდგომ ვინ უხელმძღვანელებს კლინიკას და აპირებთ თუ არა ხარაგაულში საქმიანობის გაგრძელებას?

- ორი თვის შემდეგ ხარაგაულის კლინიკას ქალბატონი ქეთევან აბრამიშვილი უხელმძღვანელებს. მან უკვე გაიარა შესაბამისი გადამზადების კურსები. იმედს ვიტოვებ, ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, აქ დავტოვებ დანერგილ ელექტრონულ რეცეპტებს, ელექტრონულ ისტორიებს, საკმაოდ გამართულ კლინიკას ბევრი კვალიფიციური კადრით. ძალიან მალე ხარაგაულელ პაციენტებს არ ექნებათ სურვილი, სხვა რაიონში მიიღონ სამედიცინო მომსახურება. ესაა ჩემი აქ ჩამოსვლის მიზანი და ვიმედოვნებ, დადებითი შედეგი ძალიან მალე იქნება.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მაგისტრალის ჩუმათელეთი - ხევის მონაკვეთის მოდერნიზების პროექტი განიხილეს

12 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მაგისტრალის ჩუმათელეთი - ხევის მონაკვეთის მოდერნიზების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში განიხილეს. პროექტის შესახებ გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ და „ეკოსპექტრის“ წარმომადგენელმა ირაკლი კავილაძემ ისაუბრეს. პრეზენტაციას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალი პროექტის მიხედვით, სოფელ ხევში შენარჩუნდება საბავშვო ბაღი და საჯარო სკოლა, უსაფრთხოების მიზნით კი გაკეთდება გადასასვლელი და ხმაურდამცავი ბარიერი. ლიკვიდაცია ეხება ხევი-ჩუმათელეთის მონაკვეთზე მდებარე თითქმის ყველა რესტორანს.

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მშენებლობაზე ადგილობრივების დასაქმება მოითხოვა და განაცხადა, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ცენტრალური მაგისტრალიდან არსებულ სახლებამდე მისასვლელ გზებსა და შესახვევებს. გარდა ამისა, ნიკოლოზ თოფურიძე უახლოეს მომავალში წერილით მიმართავს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რათა სამომავლოდ, პროექტის დასრულების შემდეგ, ავტობანზე აგრარული ბაზრები აშენდეს. მერის განცხადებით, მოსახლეობას, რომელიც არსებული გზის მიმდებარედ ვაჭრობს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ისევ მოახდინოს თავისი პროდუქციის რეალიზაცია.

მაია ვაშაკიძის თქმით, საგზაო დეპარტამენტთან უკვე დაყენებულია საკითხი, რომ ავტომაგისტრალის მშენებლობისას დასაქმებულთა 60-70%-ს ადგილობრივები შეადგენდნენ. რაც შეეხება სოფლებში შესასვლელ-გამოსასვლელებს, ვაშაკიძე განმარტავს, რომ მოსახლეობის უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იქნება დაცული. მაგისტრალის მშენებლობისას გათვალისწინებული იქნება ქვედა გადასასვლელები. ხარაგაულის მერის თქმით, გადასასვლელები არ უნდა იყოს გათვლილი მხოლოდ დაბალი გამავლობის ავტომობილზე, რადგან აღნიშნული ტერიტორია მაღალმთიან ზონას მიეკუთვნება და, შესაბამისად, ადგილობრივები ძირითადად მაღალი გამავლობის ავტომობილებით სარგებლობენ.

შეგახსენებთ, რომ ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი იქნება E-60 ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილი, რომლის სიგრძე 12 კილომეტრია. მაგისტრალის მშენებლობა რიკოთის გვირაბის აღმოსავლეთ ნაწილიდან ჩუმათელეთში დაიწყება და სოფელ ხევში დასრულდება. პროექტი მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკების დაფინანსებით ხორციელდება.

თამარ მაღრაძე

რა სიახლეებს გვპირდება სოციალური მიმართულებით მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

გასულ წელს ხარაგაულის მერიამ სოციალური მიმართულებით 500 563 ლარი გახარჯა და სხვადასხვა სახის დახმარება 2516 მოქალაქეს გაუწია. იგეგმება თუ არა მიმდინარე წელს მსგავსი პროგრამების განხორციელება, რა თანხებია 2018 წლის ბიუჯეტში სოციალური მიმართულებით გათვალისწინებული და რა სიახლეებია დაგეგმილი, ამის შესახებ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი, ნანა კიკნაძე, გვესაუბრება.

,,2018 წლისთვის ხარაგაულის მერიამ ამ მიმართულებით 504 000 ლარი გამოყო. ეს თანხა გათვალისწინებულია 18 სოციალური პროგრამის განსახორციელებლად, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მათ შორის: სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას, უკიდურესად გაჭირვებულთა ფინანსურ დახმარებას, მოხუცებულთა და მიუსაფართა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, უფასო სასადილოს დაფინანსებას, მრავალშვილიანი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებას. ომის ვეტარენებისა და უსინათლოთა კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას. ასევე

შშმ 18 წლამდე ასაკის პირების დახმარებას.

- სოციალურ პროგრამებში გარკვეული სიახლეებია. უფრო დეტალურად გვესაუბრეთ რისი შეცვლა იგეგმება?

- ის პროგრამები, რაც გასულ წელს ხორციელდებოდა, კვლავ გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ წელს სამი ახალი სოციალური პროგრამის დამატება მოხდა. პირველად მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები. ასევე ახალი ქვეპროგრამით ისარგებლებენ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება150 000-ს და ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი. დახმარება გაიცემა მარჩენალდაკარგულ ოჯახებზეც. ცვლილებებია მედიკამენტების დაფინანსებაზეც. ამ მიმართულებით თანხა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ვერ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამით. აქვე მოგახსენებთ, რომ სოცილურად დაუცველი ოჯახების მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსებით ისარგებლებენ იმ გარდაცვლილთა ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ს. ასევე მოხდება სამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება.

- რას ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეების დახმარების ქვეპროგრამა, კონკრეტულად ვინ ისარგებლებს ამ პაკეტით?

- ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებში უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, უდედმამო ბავშვებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს ფინანსური მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ. დედის და ქალთა დღეებთან დაკავშირებით, ძირითადად მრავალშვილიან, მარტოხელა, ხანდაზმულ და ომში დაღუპულთა დედებთან მივდივართ და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, ეს დღე განსაკუთრებულად ლამაზი და სასიამოვნო გავხადოთ მათთვის. ასევე ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით ვუწევთ 100 წელს მიღწეულ მოქალაქეებს.

- რა თანხებია გათვალისწინებული მიმდინარე წელს სტიქიით დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად?

- სხვადასხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახები ფულად შემწეობას დაზიანების ხარისხის მიხედვით მიიღებენ. დახმარების გაცემა სტიქიით დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე ხდება. საერთო ჯამში ამ მიმართულებით მიმდინარე წელს 50 000 ლარია გათვალისწინებული და თავდაპირველად პირველი კატეგორიის ოჯახები დაკმაყოფილდება.

ლელა გუგულაშვილი

ტურიზმის ცენტრის წინასაახალწლო საჩუქარი ხარაგაულელებს

2018 წლის მობრძანების მოლოდინში ხარაგაულელი ახალგაზრდების წინასაახალწლო განწყობის ასამაღლებლად ხარაგაულის „ტურიზმის ცენტრმა“ (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) იზრუნა. მათი უშუალო ინიციატივითა და მერიის ფინანსური მხარდაჭერით ჯაზბენდის ,,კანუდოსი“ და ელექტრონული მუსიკის კონცერტი გაიმართა. ასევე კონცერტის პარალელურად მიმდინარეობდა სოციალურად დაუცველი ბაშვების დასახმარებელად საქველმოქმედო აქცია, რომელიც ლიზა ბარბაქაძის ინიციატივით მოეწყო.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲛ ᲕᲐᲙᲐᲜᲢᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ მუნიციპალიტეტის მერიამ 19 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. აღნიშნული ინფორმაცია www.hr.gov.ge-ზე უკვე განთავსდა და საბუთების წარდგენა დაინტერესებულ პირებს 21 იანვრამდე შეეძლებათ. კერძოდ, ვაკანტურია შემდეგი თანამდებობები:

ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საარქივო საკითხებში;

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საკითხებში;

მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საკითხებში;

მერის თანაშემწე;

მერის წარმომადგენლის ასისტენტი ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენლის ასისტენტი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენლის ასისტენტი ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენლის ასისტენტი ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენლის ასისტენტი წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენელი ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენელი წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენელი სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენელი ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენელი ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მერის წარმომადგენელი დაბა ხარაგაულის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მძღოლი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ვერტყვიჭალაში ახალი საბავშვო ბაღის აშენება იგეგმება. პროექტის მომზადების მიზნით, ტენდერში გამარჯვებული ინდმეწარმე გამოვლენილია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ი/მ ზვიად გოგოლაძესთან ხელშეკრულება 2017 წლის 27 დეკემბერს გააფორმა.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის, მამუკა ჭიპაშვილის, განმარტებით, ბაღის ახალი შენობის აგება ამჟამად არსებული შენობის ეზოში იგეგმება. მისივე თქმით, ვერტყვიჭალაში ახალი სკოლამდელი დაწესებულების აგების საჭიროება, მზარდი კონტინგენტის გამო მოხდა. „მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და ეს ძალიან კარგია. გარდა ამისა, იქ არსებული შენობა, ფაქტობრივად, არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.“ - აცხადებს ჭიპაშვილი.

ახალ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ორი ასაკობრივი ჯგუფი განთავსდება. თითოეული მათგანი 25 ბავშვზეა გათვლილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამჟამად 17 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირებს. ~

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

საკრებულოს სხდომას მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე დაესწრო

8 იანვარს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე დაესწრო. ბატონმა არჩილმა დეპუტატების კითხვებს ამომწურავად უპასუხა და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჭირო ინფორმაცია მიაწოდა.

ინგა მაღრაძე დაინტერესდა სტიქიის საღიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით რომელ სოფელში რა პროექტები განხორციელდება.

არჩილ მაღრაძის, განმარტებით, გასული წლის ოქტომბერში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად, მუნიციპალიტეტს თანხები დეკემბრის ბოლოს ჩაერიცხა და ამ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს. ,,ცენტრალურ ხელისუფლებას მილიონ რვაასი ათასი ლარი მოვთხოვეთ, თუმცა მილიონ ექვსასი ათასი ლარი გამოგვეყო. ამ თანხების განაწილება მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით მოხდება, თუმცა ჯერ კიდევ გასავლელია პროცედურები, უნდა მომზადდეს პროექტი, შედგეს ხარჯთაღრიცხვა და გამოცხადდეს ტენდერი, რის შემდეგაც დაიწყება სამუშაოები, “-განაცხადა მერის პირველმა მოადგილემ.

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა თორნიკე ავალიშვილმა სოფელ ვახანში ინდმეწარმე ვეფხვია ღონღაძესთან გამარტივებული წესით შესყიდულ 20 ათასი ლარის ღირებულების პროექტზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეს პიროვნება ამავდროულად ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელია. მისივე განცხადებით, ინდმეწარმემ სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დაასრულა. დეპუტატი ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავებასაც“ შეეხო და განმარტა, რომ სამსახურის ხელმძღვანელმა თანამდებობა უნდა დატოვოს, რადგან წყალკანალის ეზოში ხეები უკანონოდ მოჭრა.

არჩილ მაღრაძის განცხადებით, ვეფხვია ღონღაძეს კანონი არ ზღუდავს, ჰქონდეს ი/მ სტატუსი. რაც შეეხება სამუშაოების ხარისხს, ყოველივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად შესრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდება. მერის პირველი მოადგილე დასუფთავების სამსახურის უფროსთან დაკავშირებულ ბრალდებებსაც შეეხო და განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანოები მიიღებენ.

ფარცხნალის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მიხეილ ჭიპაშვილმა, პროექტების წარდგენა-შერჩევაში დეპუტატთა ჩართულობა მოითხოვა. მერის პირველი მოადგილე სოფლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევაში დეპუტატების ჩართვას მიესალმება, თუმცა ამბობს, რომ უმთავრესი მაინც მოსახლეობის აზრია.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

მეგობრობა - გზად და ხიდად...

ცნობილი ქართველი ებრაელი, არქიტექტორი, მეცენატი, დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი ბატონი პაატა იოსებაშვილი, რომელიც ამჟამად ისრაელში, ქალაქ ხაიფაში ცხოვრობს, თავის პირველ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევს, რადგან ამ მიწაზე დაიბადა, აქ გაატარა მოსწავლეობისა და სტუდენტობის უბედნიერესი წლები. ბატონი პაატა სულ მუდამ იმის ცდაშია, რომ სიკეთის შუქი გააძლიეროს ქართველთა გულებში. მას განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა აქვს ბაღდათთან და ბაღდათელებთან, ახარებს მათი ყოველი წინსვლა - წარმატება. ცოტა ხნის წინ ბატონმა პაატამ ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკას (დირექტორი სოსო კოტორეიშვილი) საჩუქრად გაუგზავნა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორ ქალბატონ იზა ვეფხვაძის წიგნის- „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“ - რამდენიმე ეგზემპლარი. ამასთანავე სთხოვა თავისი ოჯახის უახლოეს მეგობარს, ქალბატონ იზას, რომ ბაღდათელთა წინაშე მოეწყო აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია, რათა ეს საოცარი სოფელი უფრო ახლო გაეცნო მეზობელი მუნიციპალიტეტის მკითხველს.

დაინტერესებული საზოგადოება დაგვხვდა შეკრებილი სამკითხველო დარბაზში. ქალბატონმა იზამ მისთვის ჩვეული ორატორული ნიჭით ძალზე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ისაუბრა იმერეთის ამ კოპწია სოფლის სწავლულებზე, რომელთაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი სოფელ ფარცხნალს, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიაში.

ბაღდათელმა მასპინძლებმა დიდი მადლიერება გამოხატეს პრეზენტატორისა და ბატონ პაატა იოსებაშვილის მიმართ.

გოჩა ხორავა, ბაღდათის მკვიდრი: „დღეს გამართულმა პრეზენტაციამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალბატონმა იზამ

შესანიშნავად წარმოგვიდგინა მართლაც უნიკალური სოფელი, მისი დიდებული ადამიანები. მინდა, მადლიერებით აღვნიშნო ჩვენი მეგობრის, ბატონ პაატა იოსებაშვილის, ღვაწლის შესახებ. სწორედ მისი დახმარებით გამოიცა ქართულ და ებრაულ ენებზე იზა ვეფხვაძის წიგნი „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს.“ ისრაელში მცხოვრები მეგობარი მიამბობდა, თუ როგორი ემოციით შეხვდა ისრაელის საზოგადოება ამავე სახელწოდების იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლს. ემოციებს ვეღარ თოკავდნენ მაყურებლები, ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმის წუთები ქართველი და ებრაელი ხალხის ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობისა. ბატონ პაატას მადლით და ქალბატონი იზას ნიჭიერებით ჩვენ საშუალება გვექნება არაერთგზის გადავშალოთ აღნიშული წიგნის ფურცლები და კიდევ უფრო მეტი რამ შევიტყოთ უნიკალური სოფლის - ფარცხნალის - შესახებ.“

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა (ამჟამად ხარაგაულის საკრებულოს დეპუტატი, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე), ოთარ ლურსმანაშვილმა, მადლობა გადაუხადა ამ კეთილი საქმის ინიციატორებსა და ბაღდათელებს გულთბილი დახვედრისათვის.

აღნიშნული წერილის ავტორმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავის საამაყო მოსწავლეზე შექმნილი წიგნი „იზა ვეფხვაძე - დიდ წინაპართა გამცოცხლებელი.“

პრეზენტაციის მეორე დღეს ისრაელიდან შემოგვეხმიანა ბატონი პაატა იოსებაშვილი. „მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ იზას და შეხვედრაზე მყოფ ბაღდათის საზოგადოებას. სადაც ქალბატონი იზას კურთხეული ფეხი დაიდგმება, იქ სიხარული, სიყვარული, წარმატება და ბედნიერება სუფევს მუდამ. სოფელი ფარცხნალი მართლაც უნიკალურია, იზა კი, როგორც თავისი რაიონის მემატიანე, ფეხდაფეხ დადის ყველა კუთხეში თავისი სამშობლოს ასამაღლებლად, გასაძლიერებლად. ისრაელის წმინდა მიწაზეც მან ღირსეულად წარმოადგინა საქართველო და ხარაგაული. ასეთი მოღვაწე ჩვენს დროში ნამდვილი საოცრებაა, ბარაქალა მის ქალობას!.. საქართველოსთან ერთად მას დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვს მოპოვებული ისრაელშიც, მიიჩნევენ ისეთ პიროვნებად, რომელსაც უდიდესი სიყვარულის გაცემისა და დიდ საქმეთა კეთების უნარი აქვს. უფლისაგან დალოცვილი იზა ფარცხნალის პოპულარიზაციით, უპირველესად უდიდეს საქმეს აკეთებს თავისი მშობლიური რაიონისათვის.“

ᲛᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ორგანიზებით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის კინოთეატრის ფოიეში საახალწლო ღონისძიება ჩატარდა. „ჩვენი მარჯვე ხელებით“- ასე ეწოდება პროექტს, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 100- მდე ბავშვთან შეხვედრა მოეწყო. ღონისძიებაზე ბავშვებმა ნაძვის ხის სათამაშოები და საახალწლო აქსესუარები პედაგოგების, უფროსკლასელებისა და ორგანიზატორების დახმარებით დაამზადეს. ამ საინტერესო და სასიამოვნო პროცესს კიდევ უფრო მეტი სიხალისე ფიფქიას, მიკი - მაუსისა და თოვლის ბაბუას სტუმრობამ შესძინა. ღონისძიებას ხარაგაულის მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე და ამავე სამსახურის განყოფილების უფროსი ალექსანდრე ტაბატაძე დაესწრნენ.

პროექტის მიმდინარეობისას მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური პატარებს Mcdonalds-ის საბავშვო მენიუთი გაუმასპინძლდა და საახალწლო საჩუქრები გადასცა.

ნანა კიკნაძის ინფორმაციით, აღნიშნული სოციალური პროექტი განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას უწყობს ხელს: „ეს არის პროექტი, რომელსაც ჩვენი სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს. აუცილებელია ასეთი აქტივობების ხშირად ჩატარება, მეტი სითბოსა და ყურადღების გამოჩენა ამ საოცრად თბილი ბავშვების მიმართ. ღონისძიებას პროექტის კოორდინატორმა, ნანა ქალდანმა, საინტერესო და სახალისო სახე მისცა, მისი ინიციატივით წელს უფრო მრავალფეროვანი და ლამაზი შეხვედრა გამოვიდა, რისთვისაც მინდა, მადლობა გადავუხადო მას.“ -აღნიშნა მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა.

ᲚᲔᲚᲐ ᲒᲣᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

,, ტურიზმის ცენტრის“ (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ინიციატივით საქველმოქმედო აქცია მოეწყო. აქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე 15 ბავშვი, თბილისში, გასართობ ცენტრ ,,ჰუპში“ იმყოფებოდა. ახალგაზრდებმა 2 საათიან გასართობ პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა. მათ ასევე დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები. ამავე დღეს ხარაგაულელმა ლაშა გოგოლაძემ, ბავშვები ანიმაციური ფილმის სანახავად დაპატიჟა. ,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი ბერიკა თურმანიძე მადლობას უხდის გასართობი ცენტრის ,,ჰუპის“ წარმომადგენელს, ირაკლი კაციტაძეს და ასევე ლაშა გოგოლაძეს, რომლებმაც სრულიად უსასყიდლოდ ხარაგაულელ ბავშვებს ლამაზი და დაუვიწყარი დღე აჩუქეს.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, განმეორებითი ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა. აუქციონი 12 იანვარს 16 საათზე დაიწყო და 2018 წლის 20 იანვარს 16 საათზე დასრულდება.

600 ლარად შენობა-ნაგებობა იყიდება სოფელ ლაშეში. ასევე იყიდება ავტომანქანა IVEKO DAILY 30-8,სახ. N GGT-196, რომლის საწყისი ღირებულება- 2000 ლარია.

ინფორმაცია განთავსდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge.

წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობაა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%;

„ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595-51-98-12